შპს „სქილვილ“ - ის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვალერი ჯაჯანიძე

წევრები: ეკა ბუთხუზი

რატი სხირტლაძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **“სქილვილ”**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **406258730**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 15 ივლისის №932689 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს, შემადგენლობით: ვალერი ჯაჯანიძე - თავმჯდომარე, ეკა ბუთხუზი - წევრი და რატი სხირტლაძე - წევრი, დაევალა ქ. თბილისი, ბოჭორმას ქ. №16, ც.დადიანის ქ. N30, შპს სქილვილის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს სქილვილის მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2026 წლის 23 ივლისს განახორციელა ვიზიტი, ქ. თბილისში მისამართებზე, ბოჭორმას ქ. №16, ც.დადიანის ქ. N30, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური და სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, სასწავლო პროცესის პრაქტიკული ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1 შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენა, გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა: 2026 წლის 27 ოქტომბერი);

2.2.1.3 შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის შესაბამისი ტრენინგის ჩატარება გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა: 2026 წლის 20 ოქტომბერი).

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2026 წლის 11 აგვისტოს ექსპერტთა ჯგუფთან წარმოდგენილი იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის ამსახველი წერილი, რომლის თანახმადაც პსდ იზიარებს ექსპერტების პოზიციას და ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0613
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს „სქილვილის“ დირექტორის 22/05/2026 ბრძანება N 9540 (ცვლილება, დირექტორის 03/07/2026 წ. №12669 ბრძანება)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა N 30; ბოჭორმას ქუჩა N16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	360
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	71
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	101

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ თვითშეფასების ფორმაში არსებული მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი გვაძლევს სრულ სურათს პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის კვლევების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს „შრომის ბაზრის ანალიზი 2025“, საქსტატის მონაცემები, Galt & Taggart-ის IT სექტორის კვლევა და ციფრული ეკონომიკის სტრატეგია 2025–2030 და Eurostat-ის მონაცემების ანალიზი, წარმოდგენილია დოკუმენტის ,,საქართველოს განვითარების სტრატეგია - ხედვა 2023“ შედეგად განსაზღვრული შრომის ბაზრის საჭიროებები, მოყვანილია საქართველოში და მსოფლიო შრომის ბაზარზე არსებული დარგობრივი ვაკანსიების სიღრმისეული შესწავლის შედეგები. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ წარმოდგენილი პროგრამის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის“ შემუშავების ინიციატორი შპს ,,სქილვილ“ - ია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ განხორციელებასთან დაკავშირებით შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, კერძოდ დაწესებულების მისიაა ,,მრავალმხრივი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, რომელიც ინოვაციური მიდგომებით სთავაზობს მომხმარებლებს უმაღლესი ხარისხის სასწავლო გარემოს. კოლეჯის მიზანია, დაეხმაროს ადამიანებს დასაქმებისა და განათლების ბაზრის ბარიერების დაძლევაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, სადაც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება ხელს უწყობს, ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებას”. კოლეჯის გადაწყვეტილება წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და განხორციელების შესახებ ეფუძნება პსდ-ს დირექტორის 2024 წლის 15 თებერვლის №164127 ბრძანებით დამტკიცებული 2025-2031 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმის მე-2 სტრატეგიულ მიზანს - ,,შპს "სქილვილ"-ის მიერ განხორციელებული პროგრამები მომხმარებელზე და შრომის ბაზარზე ორიენტირებულია“ - ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება“, რაც თავის მხრივ განმტკიცებულია მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რომელიც სრულად შესაბამისობაშია, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“.

აპლიკანტთა შერჩევა-ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება „შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N17632 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 30/04/2026 ბრძანება N7511) დამტკიცებული დოკუმენტის ,,სასწავლო პროცესის მართვა” შესაბამისად. დოკუმენტში გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს დაწყებული პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან დასრულებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. აპლიკანტთა შერჩევა შერჩევა საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ხორციელდება მოტივაციური გასაუბრების მეთოდით, ხოლო უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანებას (ბოლო ცვლილება: 2024 წლის 24 ივნისი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამაზე „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

შპს ,,სქილვლი" - ში მოქმედებს დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც გაწერილია დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 21 იანვრის №2012-13 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 06.03.2026 ბრძანება N4500) დამტკიცებულ დოკუმენტში „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსზაღვრის მეთოდოლოგია". წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე განისაზღვრება პროგრამის განხორციელების მიდგომისა და სპეციფიკის გათვალისწინებით საჭირო მატერიალური და ადამიანურ რესურსი, სასწავლო გარემოთა ტიპი და ოდენობა. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ანგარიშდება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, ბიბლიოთეკის რესურსი და სხვა კომპონენტების საკმარისობა, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დისტანციური სწავლების შესაძლებლობა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები" სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 360 პროფესიული სტუდენტი. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროგრამის განაცხადის შესაბამისად აღნიშნული ქვოტის ფარგლებში განხორციელდება, როგორც დასწრებული, ისე დისტანციური ფორმატით, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა, კერძოდ წარმოდგენილი 360 პროფესიული სტუდენტიდან დასწრებული ფორმით მოხდება 140 პროფესიული სტუდენტის სწავლება, ხოლო 220 სტუდენტის სალექციო-პრაქტიკული და შეფასების პროცესები დისტანციური მიდგომით განხორციელდება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები" დასწრებული ფორმით სწავლების შემთხვევაში 140 სტუდენტი გადანაწილდება ორ ლოკაციაზე, დადიანის კამპუსი - 60, ხოლო ბოჭორმას კამპუსი 80 პროფესიული სტუდენტი, სასწავლო პროცესის ორ ცვლაში წარმართვის პირობით, 15 და 40 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში, შესაბამისად დადიანის და ბოჭორმას ლოკაციაზე.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მოცემული პროგრამის განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსის მინიმალური სარეკომენდაციო ნუსხა, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილი პირი განისაზღვრება კოლეჯის შპს ,,სქილვილ” - ის 2024 წლის 24 დეკემბრის №2012-13 (ცვლილება, დირექტორის 31/10/2025 N0020870 ბრძანება) დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი". საფუძველზე და შესაბამისად აღნიშნული უფლებამოსილება აქვს კოლეჯის დირექტორს.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 22.05.2026 წ. №9540 (ცვლილება, დირექტორის 03/07/2026 წ. №12669 ბრძანება) ბრძანებით .

ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

კოლეჯის შპს ,,სქილვილ” - ი მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განაცხადის მიხედვით წარმოდგენილი იყო ,,ხელოვნური ინტელექტის იმპლემენტაცია და პროცესების ავტომატიზაცია“, კოლეჯის დირექტორის 03/07/2026 წ. №12669 ბრძანები საფუძველზე შევიდა ცვლილება და პროგრამის სახელწოდებად განისაზღვრა ,,ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“, აღნიშნული გამომდინარეობს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებიდან, აღნიშნული სახელწოდება სრულად მოდის შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან და მისაღწევ სწავლის შედეგებთან, შესაბამისად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ დამუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,,ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ საფუძველზე.

წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის შპს ,,სქილვილ" - ი მისია;
- კოლეჯის შპს ,,სქილვილ" - ი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსზაღვრის მეთოდოლოგია";
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი";
- განაცხადის დანართის სახით წარმოდგენილიპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები" მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- კოლეჯის შპს ,,სქილვილ" - ის რეგულაცია ,,სასწავლო პროცესის მართვა";
- კოლეჯის შპს ,,სქილვილ" - ი დირექტორის ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები" დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ,,ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 360 პროფესიული სტუდენტით, რომელთაგან 140 სტუდენტის მიღებას დაწესებულება გეგმავს უშუალოდ კოლეჯში დასწრებულ რეჟიმში, ხოლო დარჩენილი 220 სტუდენტისთვის სწავლება განხორციელდება დისტანციურად zoom და LMS - ის პლატფორმის გამოყენებით. დასწრებული სწავლების ფორმატის შემთხვევაში კოლეჯი სასწავლო პროცესს წარმართავს 2 ლოკაციაზე ქ.თბილისი ბოჭორმას ქ.№16 და ქ. თბილისი დადიანის ქ. №30, ბოჭორმას კამპუსში დაწესებულებას გამოყოფილი აქვს 1 AB (რომელიც აღნიშნული პროგრამისთვის წარმოადგენს C გარემოსაც, პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით) სასწავლო აუდიტორია თითოეული 40 პროფესიულ სტუდენტზე, სადაც სასწავლო პროცესი წარიმართება ორ ცვლაში და შესაბამისად აღნიშნული AB სასწავლო გარემო მოემსახურება 80 პროფესიულ სტუდენტს, რაც შეეხება დადიანის კამპუსს, აღნიშნულ ლოკაციაზე დაწესებულებას წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი აქვს 3 AB სასწავლო გარემო, თითოეული 15 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო ორ ცვლიანი რეჟიმით სწავლების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება 60 პროფესიული სტუდენტის მიღება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა გარემო, გაეცნო დოკუმენტაციას და გაესაუბრა პროფესიული პროგრამის ,,ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ განმახორციელებლებს. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი დაწესებულებას მიმდინარე ეტაპზე არ გააჩნია, ამ მიზნით კოლეჯის მიერ შემუშავებულია და დაწესებულების დირექტორის 27/05/2026 წ. №9788 (ცვლილება, 20/07/2026 წ. №15011 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებულია ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმის შესაბამისად იდენტიფიცირებულია კონკრეტული შეუსაბამობა, განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები, აღმოფხვრაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები და ფინანსური რესურსი, შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადაა 5 თვე, კერძოდ დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული რესურსით სასწავლო გარემოს აღჭურვის ბოლო ვადად მითითებული აქვს 27/10/2026 წ.. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დადიანის კამპუსის ვიზუალური დათვალიერების შედეგად მიიღო ამომწურავი ინფორმაცია მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესახებ, კერძოდ, აღნიშნულ ლოკაციაზე დაწესებულებას უკვე დამთავრებული აქვს ძირითადი სარემონტო სამუშაოები, შესრულებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იატაკის, კედლებისა და ჭერის მოპირკეთების სამუშაო, თითქმის სრულად დასრულებულია კოსმეტიკური სამუშაოების სრული მოცულობა, მიმდინარე ეტაპზე ექსპერტებს დახვდათ გამზადებული აუდიტორიები ინვენტარის გარეშე, სამუშაოების წარმმართველ კომპანიის წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სარემონტო სამუშაოების სრულად დასრულდება 2026 წლის 15 აგვისტოს და ობიექტი ჩაბარდება დამკვეთს.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის მობილიზების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ, 2.2.1.1 ინდიკატორის შეფასება „მეტწილი შესაბამისობა“ - დარჩა უცვლელი.

დაწესებულება წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო მოდულზე ქვოტით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობიდან 220 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში სასწავლო პროცესს წარმართავს დისტანციური მეთოდით, კოლეჯის აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად მოდის შესაბამისობაში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ ჩანაწერთან, რაც შეეხება სასწავლო პროცესის დისტანციური მეთოდით განხორციელების საკითხს, აღნიშნული რეგულირდება „შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N17632 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 30/04/2026 ბრძანება N7511) დამტკიცებული დოკუმენტის ,,სასწავლო პროცესის მართვა”, მე VI თავის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია დისტანციური სწავლების ზოგადი პრინციპები, სწავლების მოდელები, დისტანციური სწავლების ორგანიზება და პლატფორმების გამოყენების საკითხი, დისტანციური სწავლებისას პროფესიული სტუდენტების შეფასების წესი, მონაცემთა დაცვის საკითხები და დისტანციური სწავლების სხვა ასპექტები. აღნიშნული რეგულაცია შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №143/ნ ბრძანებით დამტკიცებულ რეგულაციასთან ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ”. დისტანციური სწავლების განხორციელებისთვის დაწესებულება გამოიყენებს Zoom და LMS პლატფორმას (ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ პლატფორმაზე წვდომის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი), რომელიც წარმოადგენს სტაბილურ, უსაფრთხო და საგანმანათლებლო პროცესისთვის შესაფერის ციფრულ ინსტრუმენტს. აღნიშნული პლატფორმა უზრუნველყოფენ, მარტივ და ხელმისაწვდომ ჩართულობას მონაწილეთათვის. დამატებითი ტექნიკური ცოდნის ან რთული პროგრამული უზრუნველყოფის საჭიროების გარეშე. წვდომა აღნიშნულ პლატფორმებზე შესაძლებელია როგორც კომპიუტერებზე ასევე, მობილურ მოწყობილობებზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აღნიშნული პლატფორმების გამოყენებით შესაძლებელია ეკრანის გაზიარება, სასწავლო მასალების (ვიდეო, ფოტო, დოკუმენტები, პრეზენტაციები) რეალურ დროში წარდგენა, კითხვა-პასუხის რეჟიმის მართვა და დისკუსიების ორგანიზება. ელექტრონული პლატფორმის გამოყენებისას სასწავლო პროცესი დაცული იქნება წვდომის კონტროლით, რაც უზრუნველყოფს მხოლოდ რეგისტრირებული მონაწილეების ჩართულობას სასწავლო პროცესში და მონაცემთა კონფიდენციალურობას.

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენა, გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა: 2026 წლის 27 ოქტომბერი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 41 პროფესიული განათლების მასწავლებელი აქედან 30 ზოგადი, მათ შორის ქართული ენის მოდულისთვის, 11 პროფესიული მოდულებისთვის, რომელთაგან 11-ე შეძლებს ყველა პროფესიული მოდულის სწავლებას. ვიზიტის დროს გადამოწმდა მათთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებების არსებობა და მისი შესაბამისობა კანონმდებლობის ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პერსონალი შეძლებს გაუძღვეს, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველ მოდულებს. შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოდულის განმახორციელებელის ჩანაცვლება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებლით.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლა და მათთან გასაუბრება, რის შედეგადაც დადგინდა. წარმოდგენილი მასალები დამაკმაყოფილებელია და პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტაცია: დიპლომები და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის დანართით განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, მათ გააჩნიათ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, აქვთ სწავლების გამოცდილება, მაგრამ პროფესიული განათლების მიმართულებით სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია ყველას არ გააჩნია, ამ მიზნით დაწესებულება სწავლის დაწყებამდე უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერებას, კერძოდ ტრენინგების ჩატარებას პროფესიული განათლების სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, აღნიშნული აქტივობა გაწერილია კოლეჯის 2026 წლის სამოქმედო გეგმაში და მოიცავს მიმდინარე წლის მე-9, მე-10 და მე-11 თვეს, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნულ პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე განხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი. ამ მიზნით კოლეჯის მიერ შემუშავებულია და დაწესებულების დირექტორის 27/05/2026 წ. №9788 (ცვლილება, 20/07/2026 წ. №15011 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებულია ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმის შესაბამისად იდენტიფიცირებულია კონკრეტული შეუსაბამობა, განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები, აღმოფხვრაზე პასუხისმგებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრუქტურული ერთეულები/პირები და ფინანსური რესურსი, შესაბამისობის გეგმის მიხედვით მოხდება პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება სწავლებისა (სწავლის შედეგების გამომუშავება) და შეფასების მიმართულებით, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადაა 5 თვე, კერძოდ დაწესებულებას აღნიშნული აქტივობის განხორციელების ბოლო ვადად მითითებული აქვს 20/10/2026 წ.. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების სწავლებისა და შეფასების მიმართულებით დატრენინგების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ, 2.2.1.3 ინდიკატორის შეფასება „მეტწილი შესაბამისობა“ - დარჩა უცვლელი.

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის შესაბამისი ტრენინგის ჩატარება გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა: 2026 წლის 20 ოქტომბერი).

ინდიკატორი 2.2.1.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით, ხოლო მასთან გასაუბრებით დადასტურდა მისი მზაობა პროგრამას უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული შეთანხმებით. ექსპერტების ჯგუფის მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის მოდიფიცირებისა და განხორციელების პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

„ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ პროგრამისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები დაწესებულებაში ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით LMS პლატფორმის საშუალებით, სადაც განთავსებულია მოდულებით განსაზღვრული რესურსები. ასევე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ონლაინ ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომას. საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი“ - ს შესაბამისად. ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ვიზიტის პერიოდში გადამოწმებისას გამოვლინდა, რომ დაწესებულების სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პლატფორმაზე და ბიბლიოთეკის სივრცეში არსებულ კომპიუტერებში მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი მოძიებადია და შეესაბამება მოდულში გაწერილ თემატიკას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

დაწესებულებაში მოქმედი „შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N17632 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 30/04/2026 ბრძანება N7511) დამტკიცებული დოკუმენტის ,,სასწავლო პროცესის მართვა", მე-18 მუხლში აღწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიდგომები და შესაბამისი მომსახურების გაწევის სხვა მექანიზმები, მათ შორის მოდიფიკაციისა და აკომოდაციის შესაძლებლობები და სასწავლო რესურსის ადაპტირების საკითხები. ამავე რეგულაციის მე-19 მუხლი განმარტავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფას, რაც გულისხმობს შშმ და სსსმ პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას, კოლეჯის მიერ ადაპტირებული სასწავლო გარემოთი უზრუნველყოფას. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გარემო და კოლეჯის საერთო სარგებლობის სივრცეები სასწავლო გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ/შშმ პირების ოპერირებისთვის. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. სასწავლო კორპუსში მოწყობილია პანდუსი, ბილიკები სსსმ/შშმ პირებისთვის, სველი წერტილები ყველა სართულზე და არის ლიფტი. კოლეჯს აქვს ყველა პირობა იმისთვის, რომ სურვილის შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტებმა შეძლონ სასწავლო რესურსებით და სივრცეებით სარგებლობა.

დაწესებულება ინკლუზიური განათლების ფარგლებში უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნას, რათა მათ სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება, რაც ხელს შეუწყობს სსსმ პროფესიული სტუდენტების ინტეგრაციას საზოგადოებაში.

ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯს პროგრამაზე ,,ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები" დამუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის სავარაუდო შემოსულობებისა და ხარჯვითი კომპონენტის ამსახველი დოკუმენტი წარმოდგენილი იქნა დაწესებულების მიერ, ბიუჯეტი ეფუძნება ვაუჩერულ დაფინანსებას, განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი 20 პროფესიული სტუდენტი, დოკუმენტი მოიცავს პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის საჭირო რესურსების შეძენაზე გაწეულ ხარჯებს. წარმოდგენილი ინფორმაციის შეფასების შედეგად ვლინდება, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია და მის განხორციელებას საფრთხე არ დაემუქრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის შპს ,,სქილვილ" - ი მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები" განსახორციელებლად საჭირო AB გარემოს ვიზუალური დათვალიერება და აღჭურვილობის ჩამონათვალი;
- ინტერვიუ შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- კოლეჯის შპს ,,სქილვილ" - ის რეგულაცია ,,სასწავლო პროცესის მართვა";
- „ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი";
- კოლეჯის 2026 წლის ,,სამოქმედო გეგმა";
- კოლეჯის შპს ,,სქილვილ" - ის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა;
- კოლეჯის შპს ,,სქილვილ" - ი დირექტორის ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულებაში პროგრამის შეფასება ხორციელდება შპს ,,სქილვილ" - ის 2024 წლის 24 დეკემბრის №2012-13 (ცვლილება, დირექტორის 31/10/2025 N0020870 ბრძანება) დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი". შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების ძირითად პროცესებს. კერძოდ დოკუმენტის მე-4 თავის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯის უზრუნველყოფს შემდეგი ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს და დაგეგმავს შემდგომ ცვლილებებს (საჭიროების შემთხვევაში), კერძოდ,

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენების შედეგები, ხარისხის მართვის გუნდის დასკვნები და რეკომენდაციები;
- ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების შედეგები, გარე შემფასებლების/ექსპერტების დასკვნები და რეკომენდაციები;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების/დამსაქმებლების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგები (არსებობის შემთხვევაში);
- პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ცვლილება ან ახალი ტექნოლოგიების/მიდგომების დანერგვა;
- სხვა ნებისმიერი გარემოება, რაც მიზნად ისახავს პროგრამის განვითარებას.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა/პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით;

გასაუბრებების და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ატარებს პერიოდულ კვლევებს, წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტების შეფასებებს. მიმდინარე ეტაპზე კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა მოქმედი პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზი.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯში არსებული რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

შპს ,,სქილვილ" - ის 2024 წლის 24 დეკემბრის №2012-13 (ცვლილება, დირექტორის 31/10/2025 N0020870 ბრძანება) დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი" - ს შესაბამისად, პროგრამაში ცვლილებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში: კოლეჯის ინიციატივით; პროგრამის შემუშავების საფუძვლად არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, მარეგულირებელ სხვა საკანონმდებლო აქტებში ან სხვა ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში (მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული მიდგომით სწავლება და სხვა) მათთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით. კოლეჯის ინიციატივით დასაშვებია პროგრამაში შემდეგი სახის ცვლილებების განხორციელება: პროგრამის სახელწოდების ცვლილება; პროგრამის სტრუქტურის შეცვლა (არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით); მისაღწევი სწავლის შედეგების შეცვლა (არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით); მოდულების მე-3 ნაწილში (დამხმარე ჩანაწერები) ნებისმიერი ხასიათის ცვლილება, მათ შორის: თემატიკის გამრავალფეროვნება, სასწავლო მეთოდების შეცვლა, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლა, საათების გადანაწილება, სასწავლო რესურსის შეცვლა და სხვა; პროგრამის განხორციელების ადგილის ცვლილება; სასწავლო გეგმის ცვლილება; ტექნიკური ხასიათის ცვლილებები (დოკუმენტის ტექნიკური/რედაქციული გამართვა ან ჩანაწერების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა); პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილება და სხვა.
კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს პროგრამაში ცვლილების განხორციელების პრაქტიკა, რაც ვლინდება კოლეჯში მოქმედი ერ-ერთი პროგრამის სასწავლო გეგმის მოდიფიცირებული ვარიანტის წარმოდგენით, კერძოდ კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში (გამოკითხვის (კვლევების) შედეგები) გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით განხორციელდა სასწავლო გეგმის ცვლილება, რამაც პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელების კუთხით პროცესი უფრო ლოგიკური და კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული გახადა.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი";
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად,

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ განაცხადის დანართებში წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების სასწავლო გეგმა, სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება დაგეგმილი სასწავლო პროცესის ლოგიკური თანმიმდევრულობა, სადაც მკაცრადაა გათვალისწინებული მოდულების/კურსების წინაპირობები და სტუდენტთა კვირეული საათობრივი დატვირთვის ზღვრული ნორმები. აღსანიშნავია, რომ შემუშავებული სასწავლო გეგმები ითვალისწინებს გონივრულ დროით ინტერვალებს განმეორებითი შეფასებების ორგანიზებისათვის.

სალექციო ცხრილი და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კალენდარული გეგმები დამტკიცდება შესაბამისი მოდულების დაწყებამდე. სტუდენტთა დროული და ეფექტიანი ინფორმირების მიზნით.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დოკუმენტების შესწავლით, ასევე კოლეჯის ადმინისტრაციასთან, განმახორციელებელ პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ეფექტიანი მექანიზმები და გააჩნია სრული მზაობა, რათა პრაქტიკაში ეფექტიანად, გამჭვირვალედ და თანმიმდევრულად განახორციელოს საგანმანათლებლო პროცესი დამტკიცებული გეგმების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია.

2 პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე,

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მართვის“ წესის მე-7 თავში განსაზღვრულია სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკის საკითხები.

შპს კოლეჯ ,,სქილვილში“ საწავლო პროცესი მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მართვის" დოკუმენტში (დამტკიცებულია 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით, ცვლილება: 30/04/2026, № 00007511). კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში დისტანციური სწავლების დროს, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტთა რესურსებით უზრუნველყოფაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და/ან დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციების ჩატარებაში.

სქილვილში მოქმედებს სტუდენტთა გამოკითხვის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს უკუკავშირის მუდმივ შეგროვებას და ანალიზს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, გამოყოფილია კარიერული ზრუნვის მენეჯერი, რომელიც აქტიურად მუშაობს სტუდენტების პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობაზე. სწავლებასა და სწავლის პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი და მოქნილი მეთოდები, რომლებიც ემყარება სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სწავლების ეფექტურობის გაზრდას. სტუდენტების საჭიროების შესაბამისად კონსულტაციის გაწევის მოქნილი სისტემა არის lms პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციისა და სასწავლო საკითხებზე პროფესიული სტუდენტის ონლაინ კოლსუტაციასა და დახმარებას.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისას სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებისა და მათ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების პრაქტიკა დადასტურდა დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და სტუდენტებთან გასაუბრებით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, თანასწორობის, ინკლუზიურობის, ხარისხის უზრუნველყოფისა და უწყვეტი განვითარების პრინციპებს. სტუდენტთა უფლებები დაცულია შპს „სქილვილის" შესაბამისი შინაგანაწესისა და სხვა დებულებების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათთვის თანასწორ, უსაფრთხო და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს. კოლეჯის ადმინისტრაცული პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან ხელი შეუწყონ სტუდენტებს, როგორც პროფესიული განათლების მიღების პროცესში, ასევე, შექმნან შესაბამისი გარემო მათი კვალიფიკაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას,

კოლეჯში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხროციელებისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი გარემო, შესაბამისი დარგის ლიტერატურა და კომპიუტერული ტექნიკა, რომელთა გამოყენებაც ინდივიდუალურად შეუძლიათ პროფესიულ სტუდენტებს მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო სივრცეები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, რაც დადასტურებულია მატერიალური რესურსების ბაზით, რომელიც ფუნქციონალური შესაძლებლობებით აღემატება დაწესებულ მინიმალურ სტანდარტს. სტუდენტებს აქვთ წვდომა ინტერაქტიულ სასწავლო პლატფორმებზე და ინდუსტრიის წამყვან ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებზე, რაც მათ უმარტივებს უნარების დაუფლებას და რეალურ სამუშაო გარემოსთან ადაპტირებას. ლექციები ჩატარდება დისტანციურად, Zoom-ის და სხვა თანამედროვე პლატფორმების გამოყენებით, ხოლო სასწავლო მასალები და დავალებები ხელმისაწვდომია Learning Management System (LMS) პლატფორმაზე, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას და სწავლების უწყვეტობას.

დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა პრაქტიკულ საქმიანობაში აითვისონ თანამედროვე ხელსაწყოები. პროგრამის ეფექტურობის მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას. კოლეჯი მუდმივად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აორგანიზებს და ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგებსა და მასტერკლასებს სწავლებისა და შეფასების საკითხებში, დარგის მიმართულებით.

ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, შპს „სქილვილი“ სრულად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მართვის“ წესი” ითვალისწინებს , ინდივიუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს შემდეგ შემთხვევებში:

- გარე ან შიდა მობილობით გადმოსული სტუდენტის საჭიროებისთვის;
- საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;
- კოლეჯის პროფესიული სტუდენტი, რომელსაც მიენიჭა სსსმ ან შშმ პირის სტატუსი და ვერ აღწევს სწავლის შედეგებს. სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, საჭიროებს მასზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში ან პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად;
- ფორმალური ან არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის, სტუდენტის სტატუსის აღდგენის, მობილობით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს შშმ და სსსმ პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს:

- შშმ და სსსმ პირთათვის სპეციალური ავტოსადგომის გამოყოფას და კოლეჯის შენობაში შეღწევის შესაძლებლობას ლიფტის მეშვეობით;
- კოლეჯის თანამშრომლების ინფორმირებას სსსმ და შშმ პირთა კონსულტაციისა და დახმარებისათვის, ასევე შეუფერხებელი გადაადგილებისათვის კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე;
- მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შშმ და სსსმ პირის კომუნიკაცია–კონსულტაციას კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან;
- მატერიალური რესურსებით (მათ შორის კომპიუტერითა და ინტერნეტით) შეუზღუდავ სასრგებლობას სამუშაო დღის საათებში, კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5 პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით,
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ სრულად განხორციელდება შპს „სქილვილის“ კოლეჯში, იმიტირებულ სასწავლო გარემოში და არ ითვალისწინებს პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან თანამშრომლობას.

ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით,
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ არ ითვალისწინებს განსაკუთრებული სპეციფიური უსაფრთხოების წესების დაცვას. პროფესიული განათლების მიღების პროცესში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მუდმივ მხარდაჭრას, აწვდის სტუდენტებს ხარისხიან განათლებას და ქმნის უსაფრთხო გარემოს.

ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ სასწავლო გეგმა.(შპს „სქილვილის“ დირექტორის 22/05/2026 ბრძანება N 9540)
- შპს „სქილვილის“ „სასაწავლო პროცესის მართვის“ წესი (19/09/2025 N 17632 ბოლო ცვლილება 30/04/2026 N7511);
- Learning Management System (LMS) სისტემა;
- დანართი 2. ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
-

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური,
შპს „სქილვლის“ „სასწავლო პროცესის მართვა“ მოიცავს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესს, რომლის მიხედვითაც შეფასება ეფუძნება, ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. ასევე, გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ძირითადი მოთხოვნები. პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას ითვალისწინებს კონკრეტული მოდულის მოთხოვნებს, როგორიც არის შეფასების მიმართულება, შეფასები დრო და ა.შ.
მოდულის განმახორციელებელი პირი/პირები
შეფასების განხორციელებამდე შვიდი სამუშაო დღით ადრე შეფასების ინსტრუმენტს ვალიდაციისთვის წარუდგნენ, სასწავლო პროცესის მენეჯერს და შესაბამისი დარგის სპეციალისტს(ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით), სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხური სასწავლო პროცესის მენეჯერი წარმოადგენს შიდა შემმოწმებელს (ვალიდატორს) და სწავლის შედეგების დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელ შესაბამის პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტს, თუ რამდენად თავსებადია მოდულით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებასთან:

- არის თუ არა პროფესიული სტუდენტისათვის გასაგებად აღწერილი დავალება;
- არის თუ არა შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისი;
- არის თუ არა შეფასების ინსტრუმენტი ვალიდური, სანდო, მარტივი, მოქნილი და მიუკერძოებელი.

ვალიდურ შეფასების ინსტრუმენტს ახლავს სასწავლო პროცესის მენეჯერის ხელმოწერა.
შეფასების წესი, ასევე არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა განმეორებითი შეფასების და სწავლის შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია.

2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს,
დაწესებულების ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მე-3 მუხლში აღწერილია შეფასების ვერიფიკაციის სისტემა. ვერიფიკაციის მიზანია კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფა და მისი შესაბამისობა შეფასების ძირითად პრინციპებთან.
კოლეჯში ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:

- შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც იქმნება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით.
ჯგუფში შეიძლება შედიოდეს: ხარისხის მართვის გუნდის წევრი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაცვით); პროფესიული განათლების მასწავლებელი (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაცვით), სხვა მოწვეული პირი (დარგის სპეციალისტი, განათლების სპეციალისტი და სხვა).
ვერიფიკაციის ჯგუფმა განსაზღვრულ ვადაში უნდა:

- შეისწავლოს წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები/მტკიცებულებები/შეფასების პროცესის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები;
- საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს შეფასების ინსტრუმენტების შემმუშავებელს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და სხვა ჩართულ მხარეებს; ● განიხილონ გადასაწყვეტი საკითხები;
- შეთანხმდნენ შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების საბოლოო კომენტარებზე;
- ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა წევრს აქვს პროცესში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური,სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს როგორც პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, სამოქმედო გეგმის პროექტს (საჭიროების შემთხვევაში). ანგარიშს ხელს აწერს პროცესზე პასუხისმგებელი და ვერიფიკაციის ჯგუფის წევრები. ხარისხის მართვის გუნდთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სხვა პროგრამის ფარგლებში დაწყებულია ვერიფიკაციის პროცესები, კერძოდ, შედგენილია ვერიფიკაციის სამოქმედო გეგმა, განსაზღვრულია მოდულები, რომლის ვერიფიკაციაც განხორციელდება, განსაზღვრულია დრო და სხვ. აღნიშნული გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ახალი პროგრამის ფარგლებშიც ვერიფიკაცია განხორციელდება სტანდარტისა და დაწესებულების რეგულაციის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია.

3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით,

დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტით ,,სასწავლო პროცესის მართვის“ 24-ე მუხლით დარეგულირებულია შეფასების მტკიცებულებები და უწყისის გაფორმების საკითხები. აღნიშნულის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური/ელექტრონული სახით - მტკიცებულებებით.

პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის ხელმძრვანელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის გუნდს სათანადო აღრიცხვის მიზნით.

პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით;

კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კოლეჯს შემუშავებული აქვს (დანართი N3 - შეფასების უწყისის ფორმა).

ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია.

4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის,

შპს „სქილვილი“ ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, რაც მოიცავს სწავლის შედეგის დადასტურების ან ვერ დადასტურების მაჩვენებლებს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

პროფესიული განათლების მასწავლებელი ინდივიდუალურად აცნობებს შესაფასებელ სტუდენტს მიღებული შეფასების შესახებ სპეციალური საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

- იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოდული არის სხვა მოდულის წინაპირობა, შეფასება სტუდენტს ეცნობება ორ დღეში.
- თუ მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, შეფასების შედეგი სტუდენტს ეცნობება ხუთდღიან ვადაში.

ამ პროცესის მიზანია შეფასების გამჭვირვალობა, დროული უკუკავშირის უზრუნველყოფა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტი განვითარება.

ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შპს „სქილვილის“ „სასაწავლო პროცესის მართვის“ წესი (19/09/2025 N 17632 ბოლო ცვლილება 30/04/2026 N7511;
- შპს „სქილვილის" საქმისწარმოების წესი (20/12/2024 N2012-13; ბოლო ცვლილება 04/02/26 N1999)
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (9/09/2025 N17631 ცვლილება 15/01/26 N516)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ვიზიტის დღის წესრიგი.

თარიღი: 14.08.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: